ლილია ზაზაშვილი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

ლილის კათოლიკური უნივერსიტეტი, საფრანგეთი

საზღვარგარეთ სწავლა ჩემი მიზნებისა და ოცნებების სიაში ყოველთვის ერთ-ერთი პირველი იყო. კავკასიის უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამა კი იდეალური შესაძლებლობა აღმოჩნდა ჩემი ინტერესებისა და საკუთარი თავის გამოსაცდელად.

2025 წლის შემოდგომას მქონდა შესაძლებლობა ერთი სემესტრის განმავლობაში მესწავლა საფრანგეთში, ლილის კათოლიკურ უნივერსიტეტში. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდილება და ასევე საინტერესო გამოწვევაც იყო. ახალ კულტურულ და სოციალურ გარემოში ცხოვრება ბევრ ახალ აღმოჩენასთან იყო დაკავშირებული. საფრანგეთში გავიცანი ბევრი საინტერესო ადამიანი არამხოლოდ ჩემი კურსელები არამედ ლექტორები და უნივერსიტეტის ადმინისტრაციაც, ამ ფაქტმა ჩემი იქ ყოფნა განსაკუთრებული გახადა.

ლილში ცხოვრებამ დამაახლოვა სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის ადამიანებთან, რამაც ბევრად გამიზარდა ცნობიერება და დამანახა, რამდენად განსხვავებული შეიძლება იყოს ადამიანების ხედვები და შეხედულებები. ამ პროგრამამ მომცა არა მხოლოდ თეორიული განათლება, არამედ ძალიან მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გამოცდილებაც.

მომიწია განსხვავებულ განათლების სისტემასთან შეგუება, რომელზეც თავიდან მეუბნებოდნენ რომ გარკვეულ გამოწვევებთან იქნებოდა დაკავშირებული, თუმცა სწორედ ამან გახადა ეს გამოწვევა კიდევ უფრო საინტერესო და ღირებული. სემესტრის წარმატებით დასრულების შემდეგ კიდევ უფრო მეტად ვიგრძენი ის პროგრესი და გამოცდილება, რაც ამ სემესტრში მივიღე.

ლილის კათოლიკურმა უნივერსიტეტმა მომცა ნამდვილად ფასდაუდებელი გამოცდილება და დამეხმარა არა მხოლოდ აკადემიურ და კარიერულ, არამედ პიროვნულ განვითარებაშიც. ბევრი რამ ვისწავლე როგორც საკუთარ თავზე, ისე გარე სამყაროზე და კიდევ ერთხელ დავინახე თუ რამდენად მნიშვნელოვანია ახალ გარემოში ადაპტაცია და ახალი შესაძლებლობების გამოყენება.